

ლელო

№ 223
(4733)

1972 წ.

ნოემბერი,
შაბათი,
შანი 3 კაპ.


საპარტეზლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან გასული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და გარეგნობისა და შინაგნობის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров СССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან





ოლიმპიადის გმირები



◆ გულაბაიძე, 10 ნოემბერი. საბჭოთა დინამოელმა ძიულდობის ტექნიკა კვლავ გაიმარჯვეს მონათესავე სპორტული საზოგადოებების წარმომადგენლებთან გუნდურ შეჯიბრებაში. პირად ტურნირში მათ სამი I ადგილი დაიკავეს სუთიდან. უძლიერესთა წოდება მოიხვეჭეს კიეველებმა ს. მელნიჩენკომ (88 კგ-მდე), ს. ნოვიკოვმა (98 კგ-ზე-ვით) და მოსკოველმა ა. ციუპაჩენკომ (80 კგ-მდე). საპატიო ვარჯიშების უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აგრეთვე გარ-ის ძიულდობისტი ფერმე (79 კგ-მდე) და ლორენცი (98 კგ-მდე). ამ წონის კატეგორიაში მეორე იყო კიშინიოველი გ. კოტიკი, რიგით ამ შედეგზე ტურნირში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ბულგარეთის, გარ-ის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოქილადეები.

◆ პრლა, 10 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიისა და შვედის პოკისტთა ნაკრები გუნდების წუსელ აქ გამართულმა მეორე შეხვედრამ გამარჯვება გულად მასპინძლებს მოუტანა, ამჯერად ანგარიშით 3:2 (0:1, 3:1, 0:0). ანგარიში კარლოსმა გასწა, რომელმაც მეორე პერიოდში გაიტანა შაბა. მასპინძელთაგან შაბები გაიტანეს დებოუტანტმა ებერმანმა, პლიკამ და ამ გუნდების პირველი მატჩის საუკეთესო სწავლურმა შტიანსიმ. ორივე შეხვედრას სჯილდენ საბჭოთა არბიტრები გ. დომბროვსკი და ი. კარანდინი.



ანალოგურად გროდნოელმა ტანმოვარჯიშებელმა კორბუტმა ბოლო წლებში სპორტის ამ ურთულესი სახეობის მწვერვალზე მიაღწია. მან წარმატებით ასპარეზი მიუწვინა XX ოლიმპიურ თამაშებშიც, სადაც მასურბეგლთა და სხეციალისტთა დივიზიონში დაიმსახურა.

სურათზე: კორბუტი სსრ კავშირის თანხის გათამაშებაში ასპარეზობისას. ალბათ გახსოვთ, მან ყველას აკომა მრავალჯილდო.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საქდესი).

◆ მოსკოვი, 9 ნოემბერი. პოკისტთა საკავშირო ჩემპიონატში სენ-საია მოხდა ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა“ პირველი წაგების სიმწარე განაცდევინა ქვეყნის ჩემპიონს ცსკა-ს — 3:0. პრადეკვირებულმა პოკისტებმა შირთლაც საუცხოოდ ითამაშეს. ისინი გათამაშების დიდებს სისწრაფეშიც სჯობდნენ და ძალიან ბრძოლავით. „კრილია სოვეტოვს“ კარს კარგად იცავდა სიდელიკოვი. მეტოქის კარში ყოველ პერიოდში თითო ბურთი გაიტანეს პოლუპანოვმა, ანისინმა და ბოლდნოვმა.

მეზანსებები წორმატივებს აპარებენ

„ვოლინსკაია“ ათასზე მეტმა მეშახტემ მიიღო მონაწილეობა მასობრივ შეჯიბრებაში, რომელიც მშდ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის სამი საფეხურის პროგრამით ჩატარდა. ასპარეზობა მასტის მშრომელთა მიერ მოწყობილ სტადიონზე გაიმართა.

„ვოლინსკაია“ მაღაროელები ცნობილი არიან მაღალნაყოფიერი შრომით. ისინი ლიდერობენ ყარაგანდის აუზის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის ტარდება.

სპორტს შახტში დიდი ყურადღება ექცევა, რაც მეშახტეებს ძალიან უწყობს ხელს ნაყოფიერ მუშაობაში. 250 მათგანმა ოქროს სამკურდუ ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები, 400-ზე მეტმა — ვერცხლის ნიშანზე. მშდ კომპლექსის პროგრამით შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ უბნის უფროსი, სპორტის ოსტატი ვ. ლიტვი-ნოვი, მოწინავე უბნის ბრივადირი კ. კარიმოვი, შემანახვე ი. სტეპანენკო, მუშები ვ. სიომინი და ვ. იაქუნენკო.

ჩაუღებების მიმღებ მსაჯთა კოლეგიის შახტის დირექტორი მ. ნიკიტინი ხელმძღვანელობს.

სარანი, ყარაგანდის ოლქი. **მ. ალიაინი.**

ყოველი მეოთხე თანრიგოსანია

მოვილით ჩატარდა „სპორტული კვირული“, რომლის მიზანაც მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება იყო. ასპარეზობაში აქტიურად ჩაებნენ კიროვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მეშახტე-მასმასახურებელიც. ამ საწარმოში უკვე ბევრმა ფიზკულტურელმა ჩააბარა ახალი კომპლექსის ნორმატივები ოქროს სამკურდუ ნიშანზე.

ასობილ კოლეგულმა ჩააბარა ნორმატივები სროლაში, მძლეოსნობაში, ღერძზე მიწილვაში. ქარხნის კოლექტივში 8 სპორტის ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატია. ყოველი მეოთხე თანრიგოსანია სპორტსმენია.

მეავტომობილოთა დაბაში კარგად მოწყობილი სპორტული ბაზაც აქვთ. ბევრი რამ თავისი ხელით გააკეთეს. მაგალითად, იაგეს სტადიონი თბილისის საზოგადოებრივი კორტი, პოკის, ფრენბურთის მოედნები, ექვსი რიკაობის სარბილით. გაიყვანეს სათხილამურო ტრასაც. ამჟამად ქარხნის გეგრდით ახალი სპორტული კომპლექსი შეეღება. „ჩემპიონობის საამქროს“ შეეღებლობას ყოველმა მუშამ და მსამსახურემ 8 საათი უნდა მოახმაროს.

აქტიურად ჩატარდა „სამუშაო კვირა“ ქალაქის სხვა საწარმოებშიც. 7 ათასზე მეტმა ფიზკულტურელმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები სპორტის რამდენიმე სახეობაში.

მოვილით. **ნ. ნაზაროვი.**

წარმატება შრომაში, წარმატება სპორტში

იმიერპოლარეთში შემოდგომის პირველმა სუსხმა არყის ხეებს ფოთლები შემოადარევა, მაგრამ სოკავრე მაინც გამოიხატეს მზე. სწორედ ასეთ ამინდში ტარდება ქალაქ აპატიტში (მურმანსკის ოლქი) მასობრივი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში. როგორც წესი, გამარჯვება ლენინის ორდენისაა ტრესტის „აპატიტსტრის“ სპორტსმენებს რჩება.

ტრესტი აგრე უკვე მეექვსე წელი არ თმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდაამავალ წიფულ დროშის იმიერპოლარეთის მკაცრ პირობებში კარგი მუშაობისთვის. ტრესტის მშრომთა დიდების ოთახში სპორტული თახები და სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებული ჯილდოებიც არის გამოფენილი. აქ გაიხარდნენ სპორტის შესანიშნავი ოსტატები: მოთხილამურე, საპორტის ოლიმპიადის ჩემპიონი ლ. მუხაროვა, მძლეოსანი ბ. ლაპშინი, მურმანსკის ოლქის ჩემპიონი სათხილამურო რბოლასა და მძლეოსნობაში ა. სეროვა და ბევრი სხვა. პოკისტებმა საწარმოშიც ტრადიციული მატჩი „ჩრდილოეთის ციალის“ პირისუკე მათ დაამარცხეს ფინეთისა და შვედის კოლექტივები, ფეხბურთელებმა კი მურმანსკის ოლქის თაის დაისაკუთრეს.


ტრესტს აქვს სტადიონი წიფოვანი ბილიკებით, საფეხურთი მინდვრით, მძლეოსნური ბირთვით, აგრეთვე, კალათბურთის, ფრენბურთის, რიკაობის მოედნები, საზოგადოებრივი კორტი. სამთრის პოლარულ დამუშავში მოთხილამურეები ელექტრონიტ განათებულ ტრასაზე ვარჯიშობენ.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სპორტული მუშაობა წიფულს. ზღვურულ მრავალათასიანი კოლექტივის ყოველი მეორე წევრი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის ემსაღებოდ. შაბათ-კვირას ყველას შეუძლო ნორმატივები ჩაებარებინა. ახლა უკვე ათასამდე შეეღებულს აქვს ახალი კომპლექსის სამკურდუ ნიშანი.

ტრესტის ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ ზრუნვას იწენენ სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა მიმართ. ზრუნვას კარგი შედეგიც მოსდევს: კოლექტივში სულ უფრო მცირდება შრომითი დისციპლინის დარღვევის, ავადმყოფობის შემთხვევები. სპორტი ხელს უწყობს კოლექტივის განმტკიცებას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას. ეს კი მთავარია.

აპატიტი, მურმანსკის ოლქი.

მართაფართი პალო — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჰილბეგაუნი



სამედიცინო თათბირი შედამ ურიცხვად ხალხს ტრიალებს. წესით აქ ხიმედროვე უნდა იყოს, თორემ ერთ-მა უბნიშველო შევდომამ შესაძლოა მთელი ტურნირი არიოს. მაგრამ ლარისა ბერიევის შევდომამ არანდროს მოხდის. გამომთვლელ მანქანაზე არანაკლები ხისუსტიითა და თვერატელოზით ანგარიშობს დარჩენილ შეხვედრებს, აღგნს წყვილებს.

ვისთან მოვიწვეთ მომდევნო ბრძოლა, ვინ ისვენებს, ვის რა შანსი აქვს — ლარისამ ყველაფერი უსუსტად იცის. იგი ყოველ წუთს მზადაა ვიპასუხოთ ნებისმიერ შეკითხვას.

მთავარი მსაჯი უკვე ჩატარებული შეხვედრების ოქმებს იხსობს — მეორეჯას მზადა აქვს მანქანაზე გადაბეჭდილი პირველი ცალი ასლა ცხობები დიქტორისთვის, უფროსი და გვერდითი მსაჯებისთვის, პრესისთვის, უფროსი მდივანი შეჯიბრების თავისებური ტიპია, რომელმაც უნდა მიიღოს, გადაამუშაოს, შეაჯამოს და მოაწესრიგოს მთელი ეს ინფორმაცია.

არ მახსოვს ვინმეს უკმაყოფილება გამოთქვას სამდივნოს მუშაობის გამო. ამიტომაც იკრიბება მის გარშემო უამრავი ხალხი — სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები, გუნდების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. მდივანი მუდამ კონკრეტულ და ხათულ პასუხს იძლევა.

— რამდენი ხანია რაც ჰილბეგაუნი ემსახურებთ? — გვითხუ ერთხელ ლარისას.

— ფოთციკლორად, 1948 წლიდან.

— არაფოთციკლორად?

— 1947 წელს მუშაობა დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტში. ერთხელ, განხვედრულმა მიხელო ზერხელოდემ წინადადება მომცა შეჯიბრების ჩატარებაში დაეხმარებოდი. მაშინ წარმოადგინაუ არ მჭონდა, რა დანხარება შემეძლო, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი და, ისე ვთქვამ, პირველად ვიკისრე

მდივნის მოვალეობა ქართულ ჰილბეგაუნი ბაში შეჯიბრებისას. მეორე უკვე მიხელო თიკანამეუ გადამიყვანა ჰილბეგაუნი და თედრანზე და ხანდიფობ საქმე მასწავლდა.

მას შემდეგ ლარისა ბერიევი არაერთი და ორი შეჯიბრების მთავარი მდივანი ყოფილა. 1953 წელს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა, 1953 წლიდან კი იგი ერთადერთი ქალია საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება აქვს ჰილბეგაუნი.

სურათზე: ლარისა ბერიევი თავის სამუშაო პოსტზე. ფოტოზე სურათი გადაღებულია კლასიკურ ჰილბეგაუნი სსრ კავშირის თანხის გათამაშების დღეებში. **მ. წარგარიანის ფოტო.**




ამიერკავკასიის რესპუბლიკების / მემორული თამაშები

პირდაპირი გონივრული გადაწყვეტა

იუნორ ძალოსანთა შეჯიბრება კრეკანში გაიმართა. ტურნირი ძველი წესებით ჩატარდა — სამკვიდრი ასპარეზობდნენ. ჩათვლას მხოლოდ სპორტო აღმსრულებელნი დასაშვებნი არიან. შესაბამისად 3, 2 და 1 ქულას გუნდებს ყოველ წონაში 2-2 მონაწილის გამოყვანა შეეძლო.

კვ აიტაცა და 100 კგ აჰკრა, სამკვიდრი 242,5 კილოგრამით დააგროვა და 2,5 კილოგრამით აჯობა მასპინძელ ა. ბლიანს. III ადგილზეც საქართველოს გუნდის წევრი ა. ფეიქრიშვილი გავიდა — 230 კგ. მხატვრული ძალოსანთა შეჯიბრებაში მასპინძელი ა. ვირაბიანის უპირატესობა აშკარა იყო, რასაც მან აკრამი მიიღწია. მანამდე ვირაბიანმა და ა. ქსოვერდმა (საქართველო) 80-80 კილოგრამით აჰკრეს, 82,5-კილოგრამიანი შტანგა

აიტაცეს. აკრამი ვირაბიანმა 110 კგ დააგროვა და ქსოვერდს სამკვიდრი 10 კილოგრამით გუხსწრო — 272,5. ამ წონაში III ადგილზეა მ. მამედოვი (აზერბაიჯანი) — 237,5 კგ. ჩვენები ყველაზე სუსტად ჰემესტუბუტი წონის ათმეტოა შეჯიბრებაში გამოვიდნენ. ლ. გაფრინდამ ვილიმა 265 კგ მოაგროვა და V ადგილს დასჯერდა. აქ გამარჯვებულნი მამედოვის (აზერბაიჯანი) ხედავნილი წევრი პ. ალაშოლიანი სამკვიდრი მას 5 კილოგრამით ჩამორჩა. III ადგილზეა ე. ალიევი (აზერბაიჯანი) — 287,5 კგ.



ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მემორული თამაშებში ცხაკაიელმა მხედარმა ა. მესხმა ცხენის გაწვრთნაში დიდი ოლიმპიური პრისისა და საშუალო პრისის გათამაშებებში III ადგილები დაიხსკურთა. სურათზე: ა. მესხი ასპარეზობისას. ო. გელაშვილის ფოტო.

მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში ს. მეულუმიანს (სომხეთი) ლირსული მეტოქე არ აღმოაჩნდა. სამკვიდრი მან 365 კგ მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა. სამაგიეროდ, II და III ადგილების ბედი პირადად წონამ გადაწყვიტა: გ. მამიაშვილმა (საქართველო) და ბ. ალიმოვმა (აზერბაიჯანი) სამკვიდრი ერთნაირი შედეგი — 307,5 კგ — აჩვენეს, მაგრამ მამიაშვილი მეტოქეზე 800 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და II ადგილს დაეპატრონა. ამ წონაში მეორე შედეგი (315 კგ) სინამდვილეში უკონკურსოდ მიახლოებულა გ. სითათაშვილს ჰქონდა.

ტურნირში ცალკეულ მოძრაობებსა და სამკვიდრი სპორტის ოსტატის კიდევ თერთმეტი შედეგი აჩვენეს. საშუალო წონაში საქართველოს გუნდის წევრმა ნ. ნახუცრიშვილმა 135 კგ აჰკრა, სამკვიდრი კი 410 კგ დააგროვა. მძიმე წონაში უკონკურსოდ გამოდიოდა 22 წლის გ. არუთინიანი (სომხეთი). მან 180-კილოგრამიანი შტანგა აჰკრა, 160 კგ აიტაცა და 200 კგ აჰკრა, სამკვიდრი კი 540 კგ დააგროვა.

გთავისობთ პრისიორთა შედეგებს დანარჩენ ოთხ წონის კატეგორიაში. ქვესაშუალო წონა. ზ. პარაძე (საქართველო) — 337,5, ა. ბაღალიანი (სომხეთი) — 322,5, ე. გვოსუნევი (აზერბაიჯანი) — 305. საშუალო. ნ. ნახუცრიშვილი — 410, მ. ნალიანი (სომხეთი) — 372,5, ე. ლაზიშვილი (აზერბაიჯანი) — 355. ქვემძიმე ვ. გზოვიანი — 380, ს. კახანიანი (ორივე — სომხეთი) — 350, ნ. ქაეთარაძე (საქართველო) — 340. მძიმე. რ. ოვახესიანი (სომხეთი) — 477,5, ნ. მუშაძე (საქართველო) — 365.

რ. მარაძე. (ჩვენი სპეც. კორ.)

საქრებულო

გამართა მორიგი შეხვედრები.

„კოლხეთი“ (სობი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო და მე-18 წუთზე ცინკაძემ ანგარიში გახსნა. შემდგომში სობელემ მსაჯის დახმარებით კარს ალბის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა. 37-ე წუთზე გლინიანოვმა („მეტალურგი“) მეორე ბურთი მოათავსა მასპინძელთა კარში. შესვენების შემდეგ სობელემ გააქტიურდნენ, მეტოქეს მწვავედ შეუტყეს, მაგრამ მეტალურგთა ერთ-ერთი კონტრშეტევა სუსტად დაავიჯრენინა სხილაძემ. 88-ე წუთზე სობელმა ვ. გვასალიამ „11-მეტრიანი“ საჯარიმო დარტყმით თავისი გუნდი „მშრალი“ ანგარიშით წაგებას გადაარჩინა.

„ფიზკულტურის ინსტიტუტი“ (თბილისი) — „ეგრიისი“ (ცხაკია) 3:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი). თბილისელებმა სამივე ბურთი შესვენებამდე გაიტანეს. ეს შედეგს კვარაცხელიამ (ორჯერ) და ქლიფთარმა. მეორე ტაიმში ბრძოლა თანაბარი იყო. ცხაკიელმა ქაჩიბაიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

შელაპარაკებისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი გ. თოდრია და ცხაკიელი ბ. სურგია. „ეგრეთილი“ (გარდაბანი) — „ეგრია“ (ხაშური) 1:4. მსაჯი ვ. შინიშვილი (თბილისი). ბურთები გაიტანეს: ხაშურელთაგან — ლომაძემ (2), ოსაძემ და ლაბაძემ, გარდაბნელთაგან — მჭედლიშვილმა. გარდაბნელმა თანაგარმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

„კახეთი“ (თელავი) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). თამაში უინტერესო გამოდგა. ანგარიში 43-ე წუთზე გახსნა ლაითურელმა ორგანიზაციამ, შესვენების შემდეგ კი კილაძემ მეორე გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში. ბოლო 8 წუთში თელაველები გამოცოცხლდნენ, სწრაფად შეუტყეს მეტოქეს და ანგარიშიც გაათანაბრეს (შ. და თ. მასურაძეები).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სულორი“ (ვანი) 3:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი). „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ისანი“ (თბილისი) 3:0. მსაჯი თ. სალიანი (თბილისი). „მეზახტი“ (ტყიბული) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:0. მსაჯი დ. აბულაძე (ქუთაისი). ბურთები გაიტანეს: ქლიფიძემ, ჩიხოვემა (პენალტი), ჯიშკარიანმა და გორგობიანმა.

„განთიადი“ (ბორჯომი) — ასკ (თბილისი) 5:2. მსაჯი გ. გუჭაბიძე (ფოთი).

ბორჯომელებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში, როცა ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს არმიელთა კარში (გუგუბერიძე, კახელიშვილი, ხვედელიძე, ბუტროსიანი). შესვენების შემდეგ არმიელებმა გამოასწორეს თამაში: კვარაცხელიამ და ლომიძემ ორი გოლი გაქტიურეს. მეორე კი ბორჯომელმა გუგუბერიძემ მესამედ აიღო არმიელთა კარი.

„კოლმურანი“ (წულუკიძე) — „მუჭურა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). პირველი ნახევარი ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. 21-ე წუთზე წულუკიძელმა უგულვად მოულოდნელი შორეული დარტყმით ანგარიში გახსნა. 66-ე წუთზე „კოლმურანის“ მცველმა ბარბაქაძემ სწრაფი გარღვევა

განასრულია და მეორედ აიღო „მუჭურას“ კარი. ქობულეთელებს შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ბეჟანიძემ პენალტი ვერ გამოიყენა.

„კოლმურანი“ (წულუკიძე) — „კოლხეთი“ (სობი) 2:1. მსაჯი ლ. ჩარხალია (ხორორწყუ).

„მუჭურა“ (ქობულეთი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 3:2. მსაჯი თ. ალავედი (თბილისი).

ასკ (თბილისი) — „მეზახტი“ (ტყიბული) 2:3. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი). ტყიბულელებმა შესვენებამდე კარგად ითამაშეს: თოდრემ ორჯერ აიღო არმიელთა კარი, რასაც ლომიძემ ერთი ბურთით უბასუხა. 82-ე წუთზე თბილისელმა ხარაბაძემ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ 87-ე წუთზე ქარქაშაძემ გამარჯვება „მეზახტს“ მოუტანა.

გაფრთხილებული არიან: უხუში თამაშისთვის — არმიელი გ. უმრანი, მსაჯთან კამათისთვის — ტყიბულელი ბ. ქარქაშაძე. ეს ქარქაშაძის მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:4. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

„სულორი“ (ვანი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური). გოლი შესვენებამდე გაიტანა ლორთქიფანიძემ.

გაფრთხილებული არიან ვანელები: უხუში თამაშისთვის — რ. გოგელია, მსაჯთან კამათისთვის — მ. ჩახუნაშვილი. ეს ჩახუნაშვილის მესამე გაფრთხილებაა წლეულს.

„გიგანტი“ (ლაითური) — „ეგრეთილი“ (გარდაბანი) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები შესვენების შემდეგ გაიტანეს სარიშვილმა, კილაძემ და ჭანუყვაძემ.

„ეგრია“ (ხაშური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). თოვლნარევა წვიმამ ძალიან გააძნეულა თამაში. ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა ხაშურელმა ოსაძემ, ხოლო 43-ე წუთზე დინამოელმა თუთბერიძემ საპასუხო გოლი გაიტანა. 55-ე წუთზე იმავე ოსაძემ გადამწყვეტი ბურთი მოათავსა ზუგდიდელთა კარში.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:4. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

„ეგრიისი“ (ცხაკია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 5:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი). ბურთები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — ძაგანიამ, ქაჩიბაიამ (2-2) და გვანცელაძემ, დამარცხებულთაგან — ჭიჭიბაძემ. ზესტაფონელმა სხილაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

„სამცხე“ (აწური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:2. მსაჯი ვ. სულაძე (თბილისი).

მე-9 წუთზე აწყურელმა ზუბოვმა ვერ გამოიყენა პენალტი, მე-20 წუთზე კი გეგეჭკორელმა დ. ოლიშარიამ ანგარიში გახსნა. ზუბოვმა „დინამოელი“ შესვენების შემდეგ გამოისყიდა, როცა 73-ე და 74-ე წუთებზე ორჯერ აიღო გეგეჭკორელთა კარი. მასპინძლები იერიშებს განაგრძობდნენ და ბარბიძემ (მე-80 წუთზე) და იმავე ზუბოვმა (80) ოთხამდე აიყვანეს ანგარიში. შემდგომში გეგეჭკორელმა ჩხეტამ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა, ბოლოს კი მისმა თანაგარმა დ. ოლიშარიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

უხუში თამაშისთვის გაფრთხილებულია აწყურელი მ. დემეტრაძე. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

„...ქანგა ჯაგა თოვი“

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა მეცნიერმა ა. ფლემინგმა თქვა: „მისდევნებ სპორტს და შეძლებთ უკეთ ისარგებლოთ იმ ცოდნით, რომელსაც წიგნი შეგძენთ“.

დიდი მეცნიერის ეს სიტყვები თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის შესასვლელში გამოუკრავთ. ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისთანავე გარდაქმნა მუშაობა. ყოველ საათულზე გამოუკრავს კომპლექსისადმი მიძღვნილი პლაკატები და ლოზუნგები, ნორმატივების ცხრილი. მოაწესრიგებს სპორტული ბანკეტის, შეიძინეს ინვენტარი. ინსტიტუტის სარდაფში, სადაც უწინ საქაბე იყო, რეპორტარტის დახმარებით ფიზალზრდისა და სპორტის კათედრამ შეხანინავეი სპორტული ოთახი მოაწყო.


კომპლექსის კომისია (იგი დროულად შეიქმნა რექტორის ბრძანებით) მკაცრად და სამართლიანად გამოცდები რომ უშეღავათო, ეს ყველაზე ნათლად შეჯიბრების უწყისებრიდან ჩანს. 500 მეტრზე კროსში III კურსის სტუდენტი 100 ქალიშვილიდან ჩათვლა მხოლოდ ოცს მიუღია. სხვათა შორის, თითოეული მათგანი ოთხჯერ გამოსულა სტარტზე.

ვათაღიერებდით უწყისებს და მიგზვდით, რომ ამ სასწავლებლის ფიზკულტურის მესვეურები შეჯიბრებებს ძალიან გაუტაცნია. პედაგოგების აზრით, ეს იგივე მხადე-

ბაა. წინასწარ მომზადებასა და საკონტროლო ღონისძიებებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა. სტუდენტები მოუზადებლად რომ გამოჰყავთ საბიბლეზე იქიდანაც ჩანს, რომ 100 მეტრზე რბენაში სტარტზე ერთად გამოსულან ოსინი, ვინც ნორმატივს ჩასათვლელ რაოში აბარებს და ისინიც, ვინც ამ მანძილს ნახევარ წუთშიც ვერ გადის. ალბათ ამიტომაცაა, რომ ნორმატივი ჯერჯერობით ოქროს სამკერდე ნიშანზე არავის ჩაუბარებია.

გავაოცა იმ ფაქტმა, რომ სროლაში ჯერაც არ დაუწყიათ ჩათვლების მიღება. ამ სახეობაზე ყურადღება იმდენად გავამახვილეთ, რომ ინსტიტუტის სარდაფში 50-მეტრიანი კეთილმოწყობილი ტირი გვეგულვობდა. თურმე ნუ იტყვი, ტირი ჯერ 25-მეტრიანად გადაუკეთებიათ, მერე საერთოდ გაუუქმებიათ, მის ადგილზე კი ახლა დერეფანია. ტირის გაუქმების მიზეზი არც უსაფრთხოებისთვის ზრუნვა იქნებოდა, რადგან მეცადინეობა იქ მუდამ ლეკიების შემდეგ იმართებოდა. ერთი სიტყვით, ტყვის სროლას მოყვარულთათვის ტირი ტბილ მოგონებად დარჩა, სეიფში სამედიდლ გამოკეტულ თოფებს და ვაზნებს კი ყახვი ჭამა.

პროფესორ-მასწავლებელთა ტრადიციული პირველობა ტყვის სროლაში წლეულს მხოლოდ ქალაქულად დარჩა. არც ბადმინტონში და გეგმილი შეჯიბრება ჩატარებულა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სპორტული



რტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა სათანადოდ ვერ არის გამოვლილი პრფესორ-მასწავლებელთა შორის. დღემდე არც ერთ მათგანს არ ჩაუბარებია ახალი კომპლექსის ნორმატივები. უფრო მეტიც, საშუალო ასაკისა და ხანდაზმულ თანამშრომლებისთვის ჯერ მოსამზადებელი ჯგუფებიც არ ჩამოუყალიბებიათ. ვინ უნდა უხელმძღვანელოს იმ მეცადინეობებს, რომლებიც, ჯერჯერობით, სასწავლო პროგრამით არ არის დაგეგმილი? ინსტიტუტის ფიზალზრდისა და სპორტის კათედრას ამ ამოცანის გადაჭრაში დიდ დახმარებას გაუწევდა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტროს 1968 წლის 17 ოქტომბრის № 66 საინსტრუქციო წერილის მოთხოვნების შესრულება. სამინისტრო რექტორატებს ნებას რთავს სპორტული სექციების მუშაობისთვის ფიზალზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებლებს მისცენ დამატებითი თანხები ნახევარი ხელფასის ოდენობით.

თ. ბანიჩიშვილი

პათამაშვილის ცხრილი I ჯგუფი

Table with 6 columns: Name, M, S, G, V, B, K. Lists names like 'ლოკომობი30', 'მეზახტი', 'დინამო' and their corresponding scores.



იზგოსლავიური შობაქილიაზაბი

ნ. კუიგი და პისი ასოციაცია

ქალთა ოლიმპიადის უფროსმა მსახურმა, შურნალმა „მასპატივ სსრ“-ის რედაქტორის მოადგილემ, საერთაშორისო ოსტატმა მ. იუდოვიჩმა ერთხელ მოხსრა:

— თორღეში აქ საჭადრაკო შურნალისტების საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი გაიმართება. მე და მენ, როგორც სსრ კავშირის საჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის წევრებს, დასწრებას ვგეგმავთ. დავსწრებით, ოღონდ ჯერ გავიგოთ ეს ასოციაცია რა მიზნებს ემსახურება. შევხვედეთ მის პრეზიდენტს ჯორჯ პუიგს და ვესაუბროთ. მე დარბაზს წუთითაც ვერ დავტოვებ. მონაზე პუიგი, და სთხოვე აქ მოვიდეს.

პრეს-ცენტრის თანამშრომელმა მ. ვინსტომ, პუიგი გამაყენებინა. მერე ორივემ გავიხსენეთ, რომ ერთმანეთს მოსკოვში შევხვედრივართ 1969 წელს მსოფლიო პირველობაზე მატჩის შემდეგ. ნ. ფაფინინის პრეს-კონფერენციაზე.

პუიგი ესაბანელია. საკმაოდ შეძლებული ყოფილა. თავი მუდამ მოკრძალებით უქირავს.

იუდოვიჩმა თარჯიმნად ოლიმპიადის ერთ-ერთი მსაჯი, იუგოსლავიელი ბ. ვარჩიჩი მოიწვია. დავხსენებთ.

პუიგმა სიამოვნებით გვიამბო, რომ ასოციაცია აერთიანებს ბევრი ქვეყნის საჭადრაკო შურნალისტებს. იგი ლუგანოში შეიქმნა 1968 წელს, XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში. პირველ კონგრესს მხოლოდ მ. ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ, ახლა კი მის მუშაობაში თითქმის ოცდაათი ქვეყნის შურნალისტები მიიღებენ მონაწილეობას. ასოციაციის ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური.

— ჩვენ შემოვიღეთ ოსკარის პრემია საჭადრაკოში — ამ ჯილდოს განვლილი წლის საუკეთესო მოჭადრაკეს ვაკუთვებით. ეს პრემია მიღებული აქვთ ლარსენს, სპასისსა და ფიშერს, — გვითხრა პუიგმა.

— როგორც შეგიტყვევებ, თქვენი ასოციაცია ფიდე-ში არ შედის? — ვკითხე ესაბანელ შურნალისტს.

— მართალია. ცალკე გვიდა ვიყო, რათა ფიდე-ში ჩვენზე გავლენა არ მოახდინოს. მაქვს ეივე დავეთანხმა და ახლა ფიდე-ს კონგრესსაც გვეცნო ოფიციალურად. ჩვენი მთავარი მიზანია შურნალისტთა საერთაშორისო კავშირში გვადაროს და თავის წევრად მივიღოს, — თქვა პუიგმა.

— მე და ჩემი კოლეგა დავესწრებით თქვენს კონგრესს, ოღონდ მეფიდეურ რეგულაციებს, — უთხრა იუდოვიჩმა.

— დიდი მადლობა! საჭადრაკო შურნალისტთა კონგრესი პრეს-ცენტრის შენაშენზე საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. იუდოვიჩმა სარბიელი ვერ მიატოვა და კონგრესს მართო მე დავესწარი.

მოვიდნენ ცნობილი შურნალისტები, გამომცემლები. აქ იყვნენ ამერიკელები, საერთაშორისო ოსტატი კოლტანოვსკი (ერთდროულად 27 ვაშეთის კორესპონდენტი), დიდოსტატი კეფლენი, ინგლისელი ვუდი (ორი საჭადრაკო შურნალის პატრონი), უნგრელი დიდოსტატი, საბო, რუმინელი რეპორტიორი იონუჩი, იუგოსლავიელი კაჯიჩი, ბელგიელი დიდოსტატი ოქელი, პოლონური საჭადრაკო შურნალის რედაქტორი ლიტვინოვიჩი, ინგლისელი შურნალისტი ვილი და ბევრი სხვა.

ყველაფერი რომ გამეგო, გვერდით მივუჯექი ჩემს ძველ ნაცნობს, პოლონელ ვლადისლავ ლიტვინოვიჩს, რომელმაც ხუთი ენა იცის. სხვათა შორის, ლიტვინოვიჩი საჭადრაკოს ქალთა საერთაშორისო ტურნირში მწვრთნელად ახლავს პოლონელ მოჭადრაკე ქალს ლიტვინოვსკას.

კონგრესს მიესალმა ფიდე-ს ვიდე-პრეზიდენტი პრისლი (კანადა). მერე სიტყვები წარმოთქვეს იუგოსლავიის პრესის ოფიციალურმა პირებმა.

სიტყვას ამბობს პრეზიდენტი პუიგი. იგი ლაპარაკობს შურნალისტების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, კმაყოფილებით აღნიშნავს, ფიდე-ში ჩვენი ასოციაცია აღიარა.

სიტყვებით გამოვიდნენ კონგრესმენებიც. ვ. კოლტანოვსკიმ აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში არ სცნობენ საჭადრაკო შურნალისტის პროფესიას. რუმინელმა იონუჩიმ ყველას მოუწოდა ერთხელი ასოციაციის შექმნით. კუბის დეპუტატმა განაცხადა, რომ მზადაა კუბაში გამართული დიდი ტურნირების საეკვიპოვო ბიულეტენები დაუგზავნოს ასოციაციის წევრებს. ვუდა თქვა, რომ მზადაა დიდი ტირაჟით სხვადასხვა ენაზე გამოსცეს „ფიდე-ს ოქროს წიგნი“. ამ დაპირებას ყველა ტანით შეეგება. „ოქროს წიგნი“ შეაქვთ ყველა მოჭადრაკის, მსაჯის, საჭადრაკო კომპოზიტორის გვარები, ვისაც კი საერთაშორისო წოდება აქვს, ყველა დიდი ტურნირისა და მსოფლიო პირველობის ცსრილები.

უსწოვლ კოლეგებს პუიგის თხოვნით მეც ვუამბე სამჭოთა კავშირში საჭადრაკო შურნალისტების დიდი დახმების ამბავი.

ჩემს სიტყვას ინგლისურ ენაზე თარგმნიდა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, დიდოსტატი ოქელი, რომელმაც ჩინებულად იცის რუსული ენა. მერე კონგრესმენები, სტუმრები სა-

სტუმრო „კონტინენტალში“ კოკტილ-ზე მიგვიწვიეს. აქ ბევრი რამ საინტერესო მიაჩნო ლიტვინოვიჩმა.

— ასოციაციის შექმნის იდეა მალიორკის 1967 წლის ტურნირის დღეებში წარმოიშვა. მაშინ შურნალისტებს იდეალური პირობები (უფასო კვება და სასტუმრო) შეუქმნეს. პუიგს, ამ საქმის თარსანს, ყველამ მხარი დაუჭირა ასოციაციის შექმნაში. შურნალისტებს კარგად გაუმასპინძლდნენ მალიორკაში. მერე კი, როგორც ჩანს, მალიორკის შესვერებს ფული შემოაკლდათ (ორ ახალ სასტუმროს აშენებენ) და შურნალისტები საკუთარი ხარჯით ცხოვრობდნენ. ამიტომ ზოგიერთმა შურნალისტმა გული აიცრუა ასოციაციაზე.

მერე ლიტვინოვიჩმა გაიხსენა მოჭადრაკე კოტე კიშაური, რომელიც ამაჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს.

— კოტე ლამაზი ჭაბუკია, წარმოსას-


დები. დღემდე არ ვიცი, რომ ჭარბი იყო. ნიჭიერი ყმაწვილია. ბეჯითი შეცდარებით შეიძლება ძლიერი ოსტატიც გახდეს. კოტეს კვლავ პოლონეთში ვეღო.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სკოპლე — თბილისი.

ამ სურათებზე აღბეჭდილია ვაშთა XX საჭადრაკო ოლიმპიადის „ბროლის ველი“. სკამები არც მთავარ დარბაზში იდგა, სადაც ოლიმპიადის ფინალისტები თამაშობდნენ. დარბაზის ცენტრში ტერასები აღმართეს, რათა მაყურებლებსთვის საცქერლად მოხერხებული ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ფინალისტების ყველა პარტია განსაკუთრებულ შურადღებას იქცევდა. ამიტომ ამ პარტიებს ყველას უჩვენებდნენ. სადემონსტრაციო დადებთან გაკეთებული იყო როგორც თითოეული პარტიის, ისე მთლიანად მატჩის შედეგების ტაბლე.

ავტორის ფოტოები.



ბ ა ნ ა ხ მ კ რ ე მ ბ უ ლ ი კ რ ტ ბ რ ა მ ი თ

ბათუმში გაიმართა ბელორუსიის, ლატვიისა და საქართველოს მძღლოსანთა მატჩი. სამწუხაროდ, კოკისპირული წვიმის გამო ურთი ტყორცნაში, სივრცეზე სტომაში, სამსტოში, 400 მეტრზე თარგმნილი, 3000 მეტრზე წინალობებზე რბენაში, ქალთა შორის ბი-მალეზე სტომაში, 4x100 მეტრზე ესტაფეტებში შეჯიბრებები არ გამართულა. ამავე მიზეზით ზოგიერთ სასეზონაში ტურნირები „დინამოს“ სტადიონის ფარგლებს გასცდა — სპორტსმენებმა უღვისპირა პარკში ცდიდნენ ძალებს. მაგრამ ჭოკით სტომაში ტურნირი მაინც ჩამოტეხილა, ვინაიდან სტადიონზე სასტადიო ორმო და ინვენტარი არ აღმოჩნდა.

ესაღია, არც მარცხენა მხარით იყო სახარბილო. მონაწილეებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს მხოლოდ 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში: გამარჯვებულმა — ლატვიელმა ი. გრიშულსმა (1:29.21,8) და საქართველოს გუნდის წევრმა ვ. პეტროვმა (1:32.14,6) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს (პეტროვმა — პირველად), მესამე

პრიზორმა ნ. სტრელოჩეკომ (ბელორუსია) კი ოსტატობის კანდიდატისა — 1:33.38,0.

საყვედური არც სსრ კავშირის ხუთივე სპორტაკადიის მონაწილის ლამარა ტულუმის (საქართველო) მიმართ გვეთქმის. ბარის ტყორცნაში მან (50,20 მ) იოლად დაამარცხა მთავარი მეტოქე ნ. ლუნკინა (ბელორუსია), რომელმაც 42,90 მ აჩვენა.

პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა, აგრეთვე, ქალთა შორის შუბის ტყორცნაში გამარჯვებულმა ტ. ყიგალიოვამ (ლატვია) — 51,30. ეს იყო და ეს. სხვა პრიზორთა დიდი ნაწილი პირველი თანრიგის ნორმატივს ვერ შესწავდა. მაგალითისთვის დავასახელოთ 200 და 400 მეტრზე მორბენალი ქალები, 800 და 1500 მეტრზე მორბენალი ვაჭები...

ი. დიონიში (ლატვია) ერთ-ერთი პერსპექტიული შუბის მტყორცნელია, მაგრამ ამჯერად გამარჯვებას მეორე თანრიგის შესაბამისი შედეგით (64,82 მ) დასჯერდა. გაცილებით მეტს ელოდნენ

ნ. ზვიადაურისგანაც, მან კი ამჯერად მხოლოდ 63,60 მ აჩვენა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა ბელორუსიის კოლექტივმა მოიპოვა — 187,5 ქულა. II ადგილზე გადგნენ საქართველოს მძღლოსნები — 152,5, III კი ლატვიელები — 69.

ე. გალავაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

გთავაზობთ პირად ტურნირში გამარჯვებულებისა და საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესოთა შედეგებს:

ქალაქი. რბენა. 100 მ. ა. სინიკინა (ლატვია) — 12,1... 5. ი. ვიდე-სკაია (საქართველო) — 12,8; 200 მ. მ. ჩააიევა (ბელორუსია) — 26,8... 3. ა. კურენია (საქართველო) — 28,0; 400 მ. რ. ელიზაროვა (ბელორუსია) — 58,6... 3. ვედენსკია — 1.02,0; 800 მ. ელიზაროვა — 2.14,8... 4. ვ. გოლობოროდცო (სა-

ქართველო) — 2.39,6. 100 მეტრზე თარგმნი. ს. კოლდუენკო (ბელორუსია) — 15,4; ვ. ფედოსეენკოვა (საქართველო) — 16,5. ესტაფეტა 4x400 მ. ბელორუსია — 4.08,2, საქართველო — 4.40,6. შუბის ტყორცნა. ტ. ყიგალიოვა (ლატვია) — 51,30... 4. ტ. შტუკატუროვა (საქართველო) — 34,72. ბირთვის კვრა. ლ. ტულუში (საქართველო) — 13,10.

მედი. რბენა. 100 მ. ვ. ქაეთარაძე (საქართველო) — 11,0; 200 მ. ე. ბოლდინი (ბელორუსია) — 22,6; მ. ჯამბილი (საქართველო) — 23,6; 400 მ. ვ. მასკოლონასი (ლატვია) — 49,5... 4. ვაბიშვილი — 50,9; 800 მ. ვ. სვიტინი (ბელორუსია) — 1.59,8... 3. ჯავზინაძე (საქართველო) — 2.01,6; 1500 მ. ვ. რომანოვსკი (ბელორუსია) — 5.04,5, ჯავზინაძე — 5.05,4; 5000 მ. ი. გათიკოვი (საქართველო) — 14.58,2. 110 მეტრზე თარგმნი. ი. დიჩიკოვი (საქართველო) — 15,2. ესტაფეტა 4x400 მ. ბელორუსია — 3.28,2, საქართველო — 3.33,5.

ბაროს ტყორცნა. ნ. ნაზლაძე (საქართველო) — 45,72. ბირთვის კვრა. ვ. ხმელიძე (საქართველო) — 15,70. ნიშნულზე სტომა. ლ. ტივიკვი (ლატვია) — 2 მ, ვ. პოპოვი (საქართველო) — 2 მ.

საქართველოს სპორტული სკოლის დირექტორი

საქართველოს სპორტული სკოლის დირექტორი

საქართველოს სპორტული სკოლის დირექტორი

